დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ - განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები", რომლითაც განსაზღვრულია დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის წესი.

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი სამართლებრივი
უზრუნველყოფის საკითხებში უფროსი: *ბიძინა გიგოლაშვილი*